

დოკუმენტი დამტკიცებულია
უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის
17 სექტემბრის №18 ბრძანებით

*შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია*

2020 წელი

სარ ჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები	3
მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეები, შემუშავების საფუძვლები და პროცედურები	4
მუხლი 3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები.....	6
მუხლი 4. დასკვნითი დებულება	6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესში აქტიურად და შეუფერხებელ ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამით და სასწავლო კურსებით (სასწავლო კურსის სილაბუსებით) გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დასაშვებია ზაფხულის და ზამთრის სემესტრის დაგეგმვა იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიური წლის განმავლობაში დაგეგმილი სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.
3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება დასაშვებია კანონმდებლობის ფარგლებში სტუდენტის სტატუსის აღდგენის, შიდა და გარე მობილობით სარგებლობის, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევებში, სპეციალური საჭიროებისა და სხვადასხვა აკადემიური მომზადების დონის მქონე სტუდენტისთვის სასწავლო პროცესში ეფექტურად ჩართვის მიზნით. ასევე, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში არასრული დატვირთვით სარგებლობის დროს.
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება სტუდენტთან შეთანხმებით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლის ჩართულობით.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობის მოთხოვნებს, უნდა იყოს დროში გაწერილი, მიღწევადი და რეალისტური, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის კანონიერი ინტერესი.
6. საბოლოო გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელებაზე იღებს სტუდენტი. სტუდენტი თანხმობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შესახებ ადასტურებს ხელმოწერით.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეები, შემუშავების საფუძვლები და პროცედურები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სახეებია:

ა) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამაში სრული დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის.

ბ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის.

გ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატება 60 კრედიტს, მაგრამ არის არაუმეტეს 75 კრედიტისა.

დ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის.

2. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფუძვლები:

ა) სტუდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური მდგომარეობა, სპორტში და ხელოვნებაში განსაკუთრებული მიღწევების მქონე სტუდენტის ხელშეწყობა;

ბ) ორ უმაღლეს სასწავლებელში ერთდროულად სწავლა;

გ) სასწავლო კურსით განსაზღვრული წინაპირობები, რომელიც არ იძლევა შემდეგი დონის სასწავლო კურსების გავლის საშუალებას;

დ) დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი, რომელმაც დადგინდა ვადაში ვერ დააგროვა საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა;

ე) საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება;

ვ) სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება;

ზ) შიდა/გარე მობილობა.

3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არის პირი, რომელიც ხასიათდება ფიზიკური, გონებრივი, მეტყველების, ქცევის, ემოციური განვითარების, ასევე მხედველობის ან სმენის დარღვევით, ან რომელსაც აქვს გრძელვადიანი მკურნალობის/ჰოსპიტალიზაციის საჭიროება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანია, სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტის ხელშეწყობა და სათანადო პირობების შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების, სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვისა და სტუდენტური სერვისების თანაბრად მიღების კუთხით.

4. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული მიზნით უნდა მიმართოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სავალდებულოა მომზადდეს სტუდენტის შიდა და გარე მოტივაციის პროცესში.
6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სავალდებულოა მომზადდეს სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესში თუ ამ მომენტისთვის შეცვლილია იმ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, რომელზეც ირიცხება სტუდენტი.
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სავალდებულოა მომზადდეს იმ შემთხვევაში, როცა საგანმანათლებლო პროგრამის განახლების შემდეგ ვერ დასტურდება განახლებული საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევა ცვლილებამდელი სასწავლო გეგმით და სტუდენტს უწევს საგანმანათლებლო პროგრამის რომელიმე კომპონენტის ან კომპონენტების დამატებით გავლა აღნიშნული შედეგის მიღწევის მიზნით.
8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.
9. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამაში ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სტუდენტისთვის შესაძლებელია შემუშავდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რაც გულისხმობს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.
10. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისთვის, რომლის ფარგლებშიც სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატება 60 კრედიტს (არაუმეტეს 75 კრედიტისა) სტუდენტი ვალდებულია კონსულტაციისთვის მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს და შესაბამის ფაკულტეტს, რომელიც ამ წესით განსაზღვრულ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანშეწონილობის შესახებ.
11. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საგანმანათლებლო პროგრამაში სრულად ან ნაწილობრივი დატვირთვით ჩართული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დგება სტუდენტის განცხადებით მომართვისა და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. კომისია დგება რექტორის სამართლებრივი აქტის საფუძველზე, რომლის შემადგენლობაში შედიან სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი და სამედიცინო პერსონალი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც უნივერსიტეტის თანამშრომელი, ასევე მოწვეული პირი.

მუხლი 3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტს დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია განესაზღვროს ინდივიდუალური სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები და კომპონენტები, ასევე საგამოცდო დრო.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ცვლილებები ფორმდება ოქმით და ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 4. დასკვნითი დებულება

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია მუდმივად განვითარებადი დოკუმენტია. მასში შესატანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს ყველა შესაბამის მხარესთან კონსულტაციის საფუძველზე.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას ხელს უწყობს უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები/სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.